პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 260 (20606) ✦ კვირა, 12 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

**1990 წლის** გეგმის რეალიზაცია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ" სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების შესრულების გზაზე და უნდა შეაჩეროს სახალხო მეურნეობაში ნეგატიურ ტენდენციათა ზრდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც შეიმუშავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების წინადადებათა გათვალისწინებით.

2. 1990 წლისათვის განისაზღვროს შემდგომი უმნიშვნელოვანესი მიზნები და პრიორიტეტები:

განუხრელად განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციის, ფულის მიმოქცევის მოწესრიგებისა და ფინანსების გაჯანსაღების ღონისძიებანი;

გაუმჯობესდეს საქმის ვითარება სამომხმარებლო ბაზარზე სურსათის, სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების ზრდისა და მომსახურების სფეროს გაფართოების საფუძველზე;

განმტკიცდეს სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უწინარეს ყოვლისა არსებითად გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა;

გაძლიერდეს შედარებით მცირე შემოსავლიანი მოქალაქეების, განსაკუთრებით პენსიონერებისა და ინვალიდების სოციალური დაცულობა;

დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა, გაძლიერდეს სოციალური მიმართულობა მრეწველობის საბაზო დარგების განვითარებაში;

გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა, უწინარეს ყოვლისა, მთელი სახალხო-სამეურნეო რესურსების ყველგან ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების გზით;

უზრუნველვყოთ თავდაცვისუნარიანობა საიმედო საკმარისობის დონეზე;

განხორციელდეს ქვეყანაში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი;

უზრუნველყოფილ იქნეს 1990 წელს, რომ სახალხო მეურნეობამ მიაღწიოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს,

**მათ შორის:**

| | |
|---|---|
| მთლიანი ეროვნული პროდუქტი, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 102,3 |
| წარმოებული ეროვნული შემოსავალი, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 101,1 |
| გამოყენებული ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა პროცენტობით: | |
| მიმდინარე მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობის რესურსები | 86,7 |
| კვლავწარმოების გაფართოებისა და სხვა მიზნებისათვის საჭირო რესურსები | 13,3 |
| საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 102,8 |
| წარმოების საშუალებათა წარმოება მრეწველობაში („ა" ჯგუფი), პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 100,5 |
| მოხმარების საგნების წარმოება მრეწველობაში („ბ" ჯგუფი), პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 106,7 |
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, პროცენტობით 1989 წლის გეგმასთან შედარებით | 101,3 |

3. მოწონებულ იქნეს სახელმწიფოს კრებსითი საფინანსო ბალანსი, აგრეთვე მოსახლეობის 1990 წლის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსი.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

მიაღწიონ გეგმის შესრულების დროს ფინანსური რესურსების დეფიციტის შემცირებას, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების გაუმჯობესებას;

განახორციელონ საჭირო სასაქონლო რესურსებით 435 მილიარდი მანეთის ოდენობით საცალო საქონელბრუნვის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ამ მიზნით 1990 წელს უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევა შემდეგი მოცულობით:

| | მილიარდი მანეთი | პროცენტობით, 1989 წლის გეგმასთან შედარებით |
|---|---|---|
| სახალხო მოხმარების საქონელი საცალო ფასებით — სულ | 435,2 | 113,5 |
| მათ შორის: | | |
| სასურსათო საქონელი | 156 | 102,9 |
| არასასურსათო საქონელი | 279,2 | 120,3 |
| აქედან მსუბუქი მრეწველობის საქონელი | 110,3 | 111,2 |
| მოსახლეობის ფასიანი მომსახურება | 76,2 | 111,1 |

დაწესდეს სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის, მსუბუქი მრეწველობის საქონლის, სამკურნალწამლო საშუალებების საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდებისა და სარესპუბლიკათშორისო მიწოდების სახელმწიფო შეკვეთები.

4. მიმდინარე ხუთწლედის სოციალური პროგრამის რეალიზაციისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით 1990 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან ცენტრალიზებული წესით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოიყოს 13,4 მილიარდი მანეთი, მათ შორის:

4100 მილიონი მანეთი — მოხუცებულობის პენსიათა მინიმალური ოდენობის თვეში 70 მანეთამდე გასადიდებლად და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფაში სხვაობის აღმოსაფხვრელად;

1200 მილიონი მანეთი — მუშებად და ოსტატებად მომუშავე პენსიონერებისათვის პენსიების, აგრეთვე მომუშავე ინვალიდებისათვის ინვალიდობის პენსიების სრული ოდენობით, მიღებული ხელფასის (შემოსავლის) გაუთვალისწინებლად, გასაცემად;

390 მილიონი მანეთი ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობის (I ჯგუფის ინვალიდებისათვის — 85 მანეთამდე და II ჯგუფის ინვალიდებისათვის — 70 მანეთამდე თვეში) გასაზრდელად;

156 მილიონი მანეთი — მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობის თვეში 60 მანეთამდე გასაზრდელად იმ სამხედრო მოსამსახურეებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ოპერატიული მუშაკების მშობლებისათვის, ცოლებისათვის, ოჯახების წევრებისათვის, რომლებიც დაიღუპნენ დაჭრის, კონტუზიის, სსრ კავშირის დაცვისას ან სხვა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მიღებული დასახიჩრებისა და დაავადების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად; 100 მილიონი მანეთი — იმ სამხედრო მოსამსახურეების ცოლებისა და მშობლებისათვის შეღავათების მისაცემად, რომლებიც დაწესებულია სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, და 12 მილიონი მანეთი — 1975 წლამდე გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის ინვალიდების ქვრივებისათვის შეღავათებისა და უპირატესობების მისანიჭებლად, რომლებიც დაწესებულია ქვრივებისათვის, რომელთა ქმრები გარდაიცვალნენ 1975 წლის შემდეგ;

200 მილიონი მანეთი — დიდი სამამულო ომის წლებში ზურგში თავდადებული შრომისა და უზადო მხედრული სამსახურისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და პირთა ქალაქის ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) სოფლად უფასო მგზავრობის უზრუნველსაყოფად;

200 მილიონი მანეთი — დიდი სამამულო ომის მონაწილეების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების მშობლებისა და ცოლებისათვის ექიმების რეცეპტებით წამლის უფასო გაცემის უზრუნველსაყოფად;

50 მილიონი მანეთი — სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან იმ ინვალიდებისათვის, რომლებიც ინვალიდები გახდნენ დაჭრის, კონტუზიის ან სსრ კავშირის დაცვისას ანდა სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად მოხუცებულობის პენსიის თვეში 15 მანეთის ოდენობით დანამატების გასაცემად მოხუცებულობის პენსიის დაწესებული მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად;

232 მილიონი მანეთი — ბავშვობიდან ინვალიდებისათვის: I ჯგუფის, II ჯგუფის ინვალიდებისა და 16 წლამდე ასაკის ინვალიდი ბავშვებისათვის ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების ოდენობის თვეში 70 მანეთამდე გასაზრდელად;

40 მილიონი მანეთი — სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებაში მონაწილე ინტერნაციონალისტი მეომრების სოფლად ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის და ექიმთა რეცეპტებით მათთვის წამლების უფასო გაცემის უზრუნველსაყოფად;

330 მილიონი მანეთი — იმ პირთათვის დამატებითი შეღავათების მისაცემად, რომლებსაც პენსია დანიშნული აქვთ შეღავათიან საწყისებზე რაიონული კოეფიციენტების გათვალისწინებით და განაგრძობენ ცხოვრებას უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და მასთან გათანაბრებულ ადგილებში, დანიშნული პენსიის აღნიშნული კოეფიციენტების დაწესების სახით;

560 მილიონი მანეთი — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკების და 200 მილიონი მანეთი — კულტურის მუშაკთა ცალკეული კატეგორიების ხელფასის ეტაპობრივი მომატებისათვის;

20 მილიონი მანეთი — სასწავლო კაბინეტების გამგეობის გამო მასწავლებლებისათვის დანამატის მისაცემად;

70 მილიონი მანეთი — კრასნოიარსკის მხარესა და ირკუტსკის ოლქში განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის დანამატების გადახდის შემოსაღებად;

20 მილიონი მანეთი — ვოლოგდის ოლქის ჩრდილოეთ რაიონებში მუშებისა და მოსამსახურეების (რომლებისთვისაც ისინი შემოღებული არ არის) ხელფასის რაიონული კოეფიციენტების შემოსაღებად;

989 მილიონი მანეთი — ქვეყნის ქვანახშირის რეგიონების მუშაკთათვის ხელფასის დარგში დამატებითი შეღავათების შემოსაღებად და 850 მილიონი მანეთი — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;

250 მილიონი მანეთი — შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული მუშაკების ფულადი კმაყოფილების გასაზრდელად,

264 მილიონი მანეთი — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორმასწავლებელთა შემადგენლობის ხელფასის გასაზრდელად და საპენსიო უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად;

705 მილიონი მანეთი — წლინახევრის ასაკის მიღწევამდე ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობის გასაზრდელად, ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევამდე დამატებითი უხელფასო შვებულების უფლების მინიჭებით;

435 მილიონი მანეთი — იმ ბავშვთა 12 წლამდე ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით ნაკლებ უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის დახმარების გასაცემად, რომლებსაც დახმარება ეძლევათ;

20 მილიონი მანეთი — მომუშავე ქალებისათვის 56-დან 70 კალენდარულ დღემდე მშობიარობამდელი შვებულების ხანგრძლივობის გასაზრდელად;

32 მილიონი მანეთი — სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ხარჯების ნორმების გასაზრდელად, 141 მილიონი მანეთი — ფიზიკურ ან გონებრივ განვითარებაში ნაკლის მქონე სკოლამდელთა დაწესებულებებში და საერთო ტიპის სკოლა-ინტერნატებში კვების ხარჯების ნორმების გასაზრდელად და 103 მილიონი მანეთი — ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების რბილი ინვენტარის შეძენისათვის ხარჯების ნორმების გასაზრდელად;

172 მილიონი მანეთი — სამშობიარო სახლებსა და განყოფილებებში, ბავშვთა საავადმყოფოებში, ენდოკრინოლოგიურ განყოფილებებში, საბავშვო სანატორიუმებში, დღის სტაციონარებში კვების ხარჯების ნორმების გასაზრდელად; 170 მილიონი მანეთი — სამშობიარო სახლებსა და განყოფილებებში ახალშობილის ერთ საწოლზე მედიკამენტების, კვებისა და რბილი ინვენტარის ხარჯების საანგარიშსწორებო ნორმების შემოსაღებად: 300 მილიონი მანეთი — ქრონიკული შეუქცევადი დაავადებების მქონე ავადმყოფთა უფასო ამბულატორიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად;

96 მილიონი მანეთი — სამკურნალო დაწესებულებებში კვებისა და მედიკამენტებისათვის ხარჯების ნორმების გასაზრდელად;

1000 მილიონი მანეთი — დღისით სოფლად მოსახლეობისათვის გაცემული ელექტროენერგიის ტარიფების კილოვატსაათში 1 კაპიკამდე შესამცირებლად.

გარდა ამისა, შემოღებულ იქნეს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე 322 მილიონი მანეთი საერთო თანხის დამატებითი შეღავათები თევზის მრეწველობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების დარგში.

გაგრძელდეს 1,6 მილიარდი მანეთი თანხის სახელმწიფო შინაგანი სესხის დაფარვა.

5. სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის 1990 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცეს:

144 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი 932 ათასი ბავშვისათვის;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 1714,5 ათასი მოსწავლისათვის;

სკოლა-ინტერნატები ობოლი ბავშვებისათვის და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისათვის, საბავშვო სახლები 14,35 ათასი ბავშვისათვის;

412,3 ათასადგილიანი კლუბები და კულტურის სახლები;

78,5 ათასსაწოლიანი საავადმყოფოები;

ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატები 22,5 ათასი კაცისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1990-1991 წლებში გამოეყოთ საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის 5-მდე პროცენტი მისი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, მათ შორის საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა (გარდა აგროსამრეწველო კომპლექსის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და რკინიგზის ჯარების, ინვალიდთა საზოგადოებების საცხოვრებელი სახლებისა) სახსრების ხარჯზე, იმ ოდენობის გადამეტებით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 სექტემბრის №734 დადგენილების 1-ლი პუნქტით იმ პირთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში ან გადადგნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით.

6. მოწონებულ იქნეს 1990 წლის კაპიტალურ დაბანდებათა კრებსითი ბალანსი, რომელიც ითვალისწინებს მის საერთო მოცულობას დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 196,9 მილიარდი მანეთის ოდენობით, მათ შორის საწარმოო სფეროში 138,4 მილიარდ მანეთს და არასაწარმოო სფეროში — 58,5 მილიარდ მანეთს.

დამტკიცდეს მთლიანად სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო სფეროში 54,8 მილიარდი მანეთის მოცულობით და არასაწარმოო სფეროში — 28,8 მილიარდი მანეთის მოცულობით.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიყენონ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის იმ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და მათთან დაკავშირებული მატერიალური რესურსებისა და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტების 10 პროცენტი, რომლებიც სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს გამოეყოფათ საწარმოო მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ცენტრალიზებული სახსრების რაციონალური გამოყენება, მოახმარონ ისინი მხოლოდ იმ მშენებლობებსა და ობიექტებს, რომელთა განხორციელება გამოწვეულია ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის საიმედო სიცოცხლისუნარიანობის საჭიროებით. იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება, უწინარესად სახელმწიფო შეკვეთის ობიექტებში, განახორციელონ ღონისძიებანი მშენებლობის ფრონტის შემცირებისათვის, 1990 წელს ასამოქმედებელი ობიექტების აგების დასამთავრებლად კაპიტალური დაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების და სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების კონცენტრაციისათვის.

დაუწესონ სახელმწიფო შეკვეთა საერთო-საკავშირო მოთხოვნილებებისათვის სამშენებლო მასალების მიწოდებას და მათ რესპუბლიკათშორის მიწოდებას.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ 1990 წელს გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ეკოლოგიური ვითარება ქვეყნის რეგიონებში და იმ ქალაქებში, სადაც დიდია გარემოს გაჭუჭყიანების დონე.

დაუწესდეს სახელმწიფო შეკვეთა უმნიშვნელოვანესი საერთოსახელმწიფო ბუნებადაცვითი ობიექტების ამოქმედებას.

8. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის 1990 წლის საგადამხდელო (სავალუტო ბალანსი) და დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიტანოს მასში ამ დადგენილებიდან გამომდინარე დაზუსტებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გეგმის შესრულების დროს მიიღონ ღონისძიებანი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისათვის, საექსპორტოდ უწინარესად გადამმუშავებელი დარგების, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის პროდუქციის მიწოდების სტრუქტურის სრულყოფისა და გადიდებისათვის, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის.

9. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ყურადღება მიაპყროს იმას, რომ საჭიროა სახელშეკრულებო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, გადამწყვეტი ბრძოლა დანაკარგებთან და უყაირათობასთან წარმოების ყველა უბანში და მმართველობის ყველა დონეზე, და ავალებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, მმართველობის და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებს ყველგან გაშალონ ამ მიზნით საჭირო ორგანიზატორული მუშაობა.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე დაამტკიცოს 1990 წლისათვის დარგებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები და გააცნოს ისინი სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ორი კვირის ვადაში.

11. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, გაერთიანებებისა და საწარმოების მთავარ ამოცანად ის, რომ 1990 წელს განახორციელონ ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მითითებათა შესაბამისად მომზადებული სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლების შესრულების უზრუნველსაყოფად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკის შემდგომ ხელახალ სოციალურ ორიენტაციას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ნეგატიური მოვლენების დაძლევას, უმოკლეს ვადებში სახალხო მეურნეობაში გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას და პროგრესის გზით ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნას.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მის მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ის კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გამოთქვეს მათ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განხილვის დროს, და მიიღონ მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს და მის მუდმივ კომისიებს ევალებათ დაუწესონ კონტროლი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულების მიმდინარეობას.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 31 ოქტომბერი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

**10 ნოემბერს** კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს წინადადებანი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მოწვევის ვადების და იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შემოთავაზებულია ყრილობის დღის წესრიგში შესატანად. მიღებულია გადაწყვეტილებანი ეს წინადადებანი შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად. სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მომზადებასთან და გამართვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად პრეზიდიუმმა შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების, კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატები და მთავრობის წარმომადგენლები.

განიხილეს და მოიწონეს ძალად გადასახლებული ხალხების სრული პოლიტიკური რეაბილიტაციის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის პროექტი, რომელიც შეტანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

მოისმინეს სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის დ. ა. კერიმოვის ინფორმაცია ამ კანონის პროექტზე და სსრ კავშირის კონსტიტუციის 125-ე მუხლის ახალ რედაქციაზე მუშაობის დამთავრების შესახებ. აღნიშნული პროექტები შეტანილია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის განსახილველად.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის ძირითად კანონთან მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტების ზოგიერთი ნორმის შეუსაბამობის საკითხის განხილვას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცნო, რომ ეს ნორმები სსრ კავშირის კონსტიტუციის 74-ე მუხლის გამო ვერ იმოქმედებს რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რადგან ისინი ეწინააღმდეგება საკავშირო კონსტიტუციის დებულებებს. მასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები შეუსაბამონ სსრ კავშირის კონსტიტუციას.

აღინიშნა რა, რომ 70-80-იან წლებში ხდებოდა მთელი რიგი პირებისათვის საბჭოთა მოქალაქეობის უსაფუძვლო ჩამორთმევის ფაქტები საზღვარგარეთ მათ გამგზავრებასთან და გამოსვლებთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო განაგრძოს მუშაობა აღნიშნულ პირთა უფლებების აღდგენისათვის, თუ ისინი გამოთქვამენ სსრ კავშირის მოქალაქეობის დაბრუნების სურვილს. როგორც ცნობილია, ზოგიერთ ასეთ პირს უკვე აღუდგინეს საბჭოთა მოქალაქეობა და ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის კომიტეტისა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის მთელი რიგი წევრების ინიციატივა, რომ უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კლუბი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჟურნალ „ნაროდნი დეპუტატის" მთავარ რედაქტორად დაამტკიცა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ი. პისკოტინი.

(საქპესი).

## თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**10 ნოემბერს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელების, საწარმოებისა და დაწესებულებების მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მონაწილეობით, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და მისი სტაბილიზაციის ღონისძიებანი.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ.

აღინიშნა, რომ ვითარება რესპუბლიკაში კვლავ დაძაბულია, ხოლო მთელ რიგ რეგიონებში — საკმაოდ რთული. არის საგრძნობი სიძნელეები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ჯერ კიდევ ვერ გადაიჭრა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემები. პოლიტიკური ვითარება შევიდა ისეთ სტადიაში, როცა საჭიროა ყველა საკითხში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველაზე აქტიური პოზიცია. ეს კი გულისხმობს დიდ ოპერატიულობას, აქტივის ინფორმირების გაუმჯობესებას, სწრაფ რეაქციას, უნარიან ორიენტაციას რთულ სიტუაციებში, ვითარების და ფუძემდებლური პარტიული დოკუმენტების ანალიზის ჩვევების ფლობას. უფრო გულმოდგინედ უნდა შევიმუშაოთ პირველადი პარტორგანიზაციების, ყველა დონის პარტიული კომიტეტების ურთიერთობის ახალი ფორმები.

ეს ხელს შეუწყობს პარტიული ორგანოების თანამოქმედებას რესპუბლიკის საზოგადოების, მუშათა კლასის, გლეხობის, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის ფართო ფენებთან, რომლებიც ეძებენ კონსოლიდაციის გზებს, გამოიმუშავებენ კონსტრუქციულ დამოკიდებულებას პრობლემებისადმი.

მაგრამ არიან ძალები, რომლებსაც აშკარად არ აძლევს ხელს პროცესების ამგვარი განვითარება, ისინი დაინტერესებული არიან ჩაშალონ თანამშრომლობის ღონისძიებანი, რაც ხელს უშლის კონკრეტული პრობლემების გადაჭრას, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის, მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათ შორის ეროვნულ სფეროში.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გამონახოს სწორი გადაწყვეტანი დაძაბულობის დაძლევისათვის. ასე იყო აფხაზეთში, ქვემო ქართლში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ზოგიერთ სხვა რეგიონში მომხდარი ამბების დროს, როცა ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრიობის შეთანხმებული მოქმედებით, სხვათა დაუხმარებლად შევძელით მიგვეღწია ვითარების სტაბილიზაციისათვის, ცალკეულ შემთხვევებში კი თავიდან აგვეცილებინა სისხლისღვრა. აქ თავისი დადებითი როლი შეასრულა აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ დამკვიდრებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიალოგის პრაქტიკამ, ურთიერთმისაღები გადაწყვეტების ძიებამ, ზემოქმედებისა და მმართველობის პოლიტიკურ მეთოდებზე დაყრდნობამ ამ პროცესში სხვადასხვა ალტერნატიულ გაერთიანებათა ინტეგრაციასთან ერთად. დიალოგის კარგი ფორმა გახდა საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელმაც ეროვნული პოლიტიკის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის გათვალისწინებით რესპუბლიკის ფუძემდებელი პრობლემების მთელი სპექტრი მოიცვა.

ამასთანავე უნდა გვესმოდეს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიალოგი დათმობების პოლიტიკა კი არა, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ქმედითი, თანამედროვე ფორმაა, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს რესპუბლიკის მთელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი. უნდა ვპოულობდეთ კონკრეტული საკითხების გადაჭრისადმი არაშაბლონურ მიდგომებს, როგორც ეს, მაგალითად, გაკეთდა რესპუბლიკიდან შეიარაღებულ ძალებში გაწვევის მიმართ. უფრო მეტად უნდა ვენდობოდეთ ერთმანეთს, არ ვართულებდეთ საკითხების გადაჭრას ულტიმატიური ზემოქმედებით, სხვადასხვა სახის აქციებით, რომლებიც საქმეს ვნებს. განსაკუთრებით ეხება ეს სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიმდინარეობას, საკადრო ცვლილებებს, მათ შორის აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, სხვა რეგიონებში, სადაც ხორციელდება აქტიური ღონისძიებანი კანონის სრული შესაბამისობით გამოძიების დაჩქარებისათვის, საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით საკადრო შემადგენლობის განახლებისათვის, პასუხსაგებ სამუშაოზე იმ ენერგიული მუშაკების დაწინაურებისათვის, რომლებსაც არ ამოუწურავთ ნდობის კრედიტი, უნარი შესწევთ დანერგონ მუშაობის ახალი პოლიტიკური მეთოდები. მხოლოდ ასეთი პრინციპული მიდგომით ხდება შესაძლებელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაცია.

კონფრონტაციისა და დაპირისპირების დრო არავითარ პირობებში არ დაბრუნდება. იმან, ვინც ამას განიზრახავს, თავად უნდა იკისროს მთელი პასუხისმგებლობა. განსჯა-ფიქრის სერიოზულ საბაბს გვაძლევს უკანასკნელი დღეების ამბები, მათ შორის ოქტომბრის იუბილეს დღესასწაულის დღეებში. მას ჩრდილი მიაყენა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ, რომლის მიზანი იყო ვითარების დესტაბილიზაცია, ხელმძღვანელობასა და საზოგადოებრივ მოძრაობებს შორის კონსტრუქციული დიალოგის ჩაშლა.

ამ დიალოგის დროს, როგორც ცნობილია, განიხილეს საკითხები, რომლებსაც განსჯის რეალური ბაზა აქვს, გამოითქვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მტკიცე პოზიცია იმ საკითხების გამო, რომელთა გადაწყვეტას კანონი არ ითვალისწინებს.

სახელმწიფო სიმბოლიკის მიმართ ვანდალიზმი, შებილწვა და სხვა ექსცესები ხელს არ უწყობს ნორმალურ დიალოგს, ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ეს უნდა შეიგნოს ყველამ, მათ

(დასასრული მე-2 გვ.).

## ინფორმაცია ცხინვალიდან

**10 ნოემბერს,** მიუხედავად საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებისა სესიის გამართვის ვადის გადატანის შესახებ, ცხინვალში შეიკრიბნენ საოლქო საბჭოს დეპუტატები, არაფორმალურ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებმაც უმართებულოდ მოითხოვეს ოლქის სახელმწიფო ენის საკითხის გადაწყვეტა, თხოვნით მიმართეს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოებს განიხილონ საკითხი ავტონომიური ოლქის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კონსტიტუციების თანახმად ამ საკითხთა გადაწყვეტა განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას.

(საქინფორმი).

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

# სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

**სსრ** კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ" სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების რეალიზაცია, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაცია, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 429.914.184 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში — 489.914.184 ათასი მანეთის ოდენობით.

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 60.000.000 ათასი მანეთის ოდენობით.

დადგინდეს, რომ ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის ფარგლებში.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს 1990 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 195.143.095 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლის ნაწილში 244.242.976 ათასი მანეთის ოდენობით და ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 49.099.881 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიასთან და კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიასთან ერთად დააზუსტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის სხვა მუხლების ხარჯზე და განახორციელოს ფასობრივი ხასიათის საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ამ დროს გამორიცხავენ ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის საცალო ფასების მომატებას, ამასთან შემდგომში ინფორმაცია მიაწოდოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

**მუხლი 4.** შეტანილ იქნეს სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლის ნაწილში 234.771.089 ათასი მანეთის საერთო ოდენობით და გასავლის ნაწილში 245.671.208 ათასი მანეთის საერთო ოდენობით, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| რუსეთის სფსრ | 129.717.973 | 136.067.973 |
| უკრაინის სსრ | 37.355.179 | 39.155.179 |
| ბელორუსიის სსრ | 11.061.522 | 11.561.522 |
| უზბეკეთის სსრ | 11.206.887 | 11.541.887 |
| ყაზახეთის სსრ | 14.525.574 | 15.085.574 |
| საქართველოს სსრ | 4.024.283 | 4.234.283 |
| აზერბაიჯანის სსრ | 4.121.712 | 4.271.712 |
| ლიტვის სსრ | 4.106.531 | 4.314.395 |
| მოლდავეთის სსრ | 3.211.350 | 3.391.350 |
| ლატვიის სსრ | 3.014.754 | 3.171.624 |
| ყირგიზეთის სსრ | 2.736.301 | 2.841.301 |
| ტაჯიკეთის სსრ | 2.445.080 | 2.525.080 |
| სომხეთის სსრ | 3.256.728 | 3.336.728 |
| თურქმენეთის სსრ | 2.215.612 | 2.295.612 |
| ესტონეთის სსრ | 1.771.603 | 1.876.988 |

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს შორის პირდაპირი ანგარიშსწორების გზით მოაწესრიგოს ამ ბიუჯეტების მოცულობის შეცვლა, რომელიც გამომდინარეობს სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესწორებებიდან, და ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად შემოსავლის გაზრდის ღონისძიებებიდან.

**მუხლი 5.** დადგინდეს 1990 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი:

(ათასი მანეთი)

| | |
|---|---|
| მოგებიდან (შემოსავლიდან) სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასახდელები | 61.885.756 |
| ბრუნვის გადასახადი | 28.653.002 |
| ანარიცხები ბიუჯეტში სასარგებლო წიაღისეულთა გეოლოგიურ-სადაზვერვო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა დანახარჯების დასაფარავად | 4.144.297 |
| შემოსავალი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისაგან | 58.906.588 |
| სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები | 28.889.415 |
| კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საშემოსავლო გადასახადი | 205.793 |
| მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი | 19.945.336 |
| სხვა გადასახადები, შესაკრებლები და არასაგადასახადო შემოსულობანი | 26.036.159 |

**მუხლი 6.** დადგინდეს 1990 წლის საკავშირო ბიუჯეტში დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოქმედი ქსელის ექსპლოატაციისა და შენახვის, თავდაცვის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შენახვის **მიმდინარე ხარჯების** დაფინანსების ასიგნებანი და საზოგადოების სოციალური განვითარების შექმნილი დონის უბრალო კვლავწარმოებასთან და შენარჩუნებასთან დაკავშირებული და უწინარესი წესით ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი სხვა ხარჯები 200.924.928 ათასი მანეთის ოდენობით,

**მათ შორის:**

| | |
|---|---|
| სახალხო მეურნეობის დაფინანსება | 42.524.006 |
| სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დაფინანსება | 35.993.374 |
| **აქედან:** | |
| სახალხო განათლება, კადრების პროფესიული მომზადება, კულტურა, ხელოვნება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები | 3.430.974 |
| ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა | 553.961 |
| სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა | 28.027.439 |
| კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის დოტაცია | 3.981.000 |
| საგარეო ვაჭრობის, სახელმწიფო, საბანკო, კომერციული ოპერაციების, უცხოეთის სახელმწიფოებისათვის უსასყიდლო დახმარების გაწევისა და საერთაშორისო კავშირურთიერთობის სხვა ხარჯების დაფინანსება | 26.421.362 |
| არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის შენახვა, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, სამხედრო მშენებლობა, სამხედრო მოსამსახურეებისათვის პენსიების გადახდა და თავდაცვის სხვა ხარჯები | 70.975.815 |
| სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შენახვა | 995.402 |
| სამართალდაცვითი ორგანოების შენახვა | 9.169.902 |
| სახელმწიფო შინაგანი ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები | 8.779.000 |
| სხვა ღონისძიებანი | 6.066.067 |

**მუხლი 7.** დადგინდეს საკავშირო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებასთან, სოციალური ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან და სრულყოფასთან, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდასთან, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ცენტრალიზებული პროგრამებისა და სხვა იმ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებული **გაფართოებული კვლავწარმოების მიზნებისათვის** საჭირო ხარჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ დონეს, 43.318.048 ათასი მანეთის ოდენობით,

**მათ შორის:**

| | |
|---|---|
| ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა საინვესტიციო დანახარჯების დაფინანსება | 19.377.466 |
| მეცნიერების დაფინანსება | 9.160.257 |
| სოციალური სფეროს განვითარების დაფინანსება | 2.373.325 |
| ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ცენტრალიზებულ პროგრამათა დაფინანსება | 12.407.000 |

**მუხლი 8.** გამოეყოს საკავშირო ბიუჯეტიდან სუბვენციები მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს, რათა გათანაბრდეს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის დონე, აგრეთვე კომპენსირებულ იქნეს შემოსავალი ფასების მოქმედი სისტემის პირობებში რეგიონთა შორის მის უთანაბრო განაწილებასთან დაკავშირებით — სულ 8.581.332 ათასი მანეთი,

**მათ შორის:**

| | |
|---|---|
| უზბეკეთის სსრ | 3.122.166 |
| ყაზახეთის სსრ | 3.792.828 |
| ყირგიზეთის სსრ | 555.453 |
| ტაჯიკეთის სსრ | 405.784 |
| თურქმენეთის სსრ | 705.101 |

გამოეყოს საკავშირო ბიუჯეტიდან სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს სუბვენცია 100.000 ათასი მანეთის ოდენობით აგროსამრეწველო კომპლექსის მიწისძვრით დაზარალებულ ობიექტებზე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად.

დადგინდეს, რომ სუბვენციები მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენება.

**მუხლი 9.** ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის საკავშირო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოუშვას სახელმწიფო საშინაო სესხი, რომელიც ნებაყოფლობითი საწყისებით განლაგდება სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციებსა თუ საკრედიტო დაწესებულებებში, 49.099.881 ათასი მანეთის ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინოს აღნიშნული სესხის გამოშვების პირობები და განსაზღვროს ამ მუშაობის გასაშლელი კონკრეტული ორგანიზაციული ღონისძიებები.

რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკებს თავიანთი ბიუჯეტების დეფიციტის დასაფარავად გამოუშვან ანალოგიური რესპუბლიკური სესხები 10.900.119 ათასი მანეთის საერთო ოდენობით.

**მუხლი 10.** გადაუდებელი სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე მოსახლეობის სახსრების აქტიური მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1990 წელს მოსახლეობაში ნებაყოფლობითი საწყისებით გასავრცელებლად გამოუშვას:

სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებანი 15 მილიარდ მანეთამდე საერთო ოდენობით წლიური 5 პროცენტის გაანგარიშებით. აღნიშნულ ვალდებულებათა რეალიზაციისაგან მიღებული სახსრები უწინარეს ყოვლისა მოხმარდეს 1954-1956 წლებში გამოშვებული სახელმწიფო სესხების დაფარვას;

მიზნობრივი უპროცენტო სესხები მოსახლეობისათვის ავტომობილების, მაცივრების და ხანგრძლივი სარგებლობის ზოგიერთი სხვა საქონლის შესაძენად სულ ცოტა 5 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვროს აღნიშნული სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებისა და სესხების გამოშვების პირობები და გავრცელების წესი.

**მუხლი 11.** დამტკიცდეს 1990 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტებში ბრუნვის გადასახადის გადარიცხვების ნორმატივები (პროცენტობით): რსფსრ — 71,1, უკრაინის სსრ — 61,4, ბელორუსიის სსრ — 86,0, უზბეკეთის სსრ — 100,0, ყაზახეთის სსრ — 100,0, საქართველოს სსრ — 100,0, აზერბაიჯანის სსრ — 80,7, მოლდავეთის სსრ — 68,9, ყირგიზეთის სსრ — 100,0, ტაჯიკეთის სსრ — 100,0, სომხეთის სსრ — 100,0, თურქმენეთის სსრ — 100,0.

დამტკიცდეს 1990 წლისათვის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლიდან) სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახდელების თანხის გადარიცხვის ნორმატივები: რსფსრ და უკრაინის სსრ — 12 პროცენტი; ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ — 20 პროცენტი.

**მუხლი 12.** დადგინდეს, რომ 1990 წელს შრომითი რესურსების საზღაური და წყლის საზღაური, რომლებიც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეაქვთ, მთლიანად ირიცხება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში.

**მუხლი 13.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა ამ კანონის მე-11 (მე-2 აბზაცის ნაწილში), მე-12 მუხლების გამოყენების თავისებურებანი სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

**მუხლი 14.** დადგინდეს 1990 წლისათვის ბრუნვის გადასახადის, მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადის, 1982 წლის სახელმწიფო საშინაო მომგებიანი სესხის ობლიგაციათა რეალიზაციის შემოსულობების, გადარიცხვის ნორმატივები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მოგების (შემოსავლის) ბიუჯეტში გადასახდელების თანხები ლიტვის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში — 78,0 პროცენტი, ლატვიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში — 57,5 პროცენტი.

**მუხლი 15.** დადგინდეს, რომ ესტონეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი 1990 წელს ნაწილდება შემდეგი ნორმატივებით:

| | |
|---|---|
| საკავშირო ბიუჯეტში | — 15,9 პროცენტი |
| ესტონეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში | 84,1 პროცენტი |

**მუხლი 16.** გამოეყოს 1990 წელს საკავშირო ბიუჯეტიდან დოტაცია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 24.672.713 ათასი მანეთის ოდენობით.

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი (საკავშირო ბიუჯეტიდან დოტაციის გათვალისწინებით) შემოსავლისა და გასავლის მიხედვით 69.444.213 ათასი მანეთის ოდენობით.

მიღებულ იქნეს საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება, რომ 1990 წელს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს გადაეცეს უმუშევარი პენსიონერებისათვის პენსიების გადასახდელი სახსრები 40.554.798 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 17.** დადგინდეს საკავშირო ბიუჯეტში საბრუნავი სალაროს ნაღდი ბიუჯეტის მოცულობის 2 პროცენტამდე ოდენობით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საბრუნავი სალაროს ნაღდის შესაქმნელად გამოიყენოს დამატებით მიღებული შემოსავალი და საკავშირო ბიუჯეტის ხარჯებში გაწეული ეკონომია.

**მუხლი 18.** საიჯარო კოლექტივების, გლეხური მეურნეობებისა და კოოპერატივების, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების საწარმოების ბაზაზე შექმნილი საწარმო-დაწესებულებათა დამხმარე სოფლის მეურნეობების ორგანიზაციისა და მუშაობის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შესაქმნელად დადგინდეს, რომ ამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების დავალიანება სსრ კავშირის ბანკების გადავადებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების მიხედვით ექვემდებარება ჩამოწერას (მათ შორის დავალიანების შესაბამისი წილიც საწარმოთა ნაწილობრივი იჯარის დროს) და აღნიშნული თანხები განეკუთვნება სახელმწიფო საშინაო ვალის გადიდებას.

**მუხლი 19.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ფინანსების უკიდურესი დაძაბვის პირობებში მიზნად ისახავს ეკონომიკის გაჯანსაღებას და გადაუდებელი სოციალური საკითხების გადაწყვეტას. მისი შესრულება მართვის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისაგან, ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისაგან მოითხოვს ეკონომიისა და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის საქმით განხორციელებას, წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი, **1989 წლის 31 ოქტომბერი.**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

# სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ანგარიში სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემოსავლის ნაწილში 469.023.418 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილი საერთო-სახელმწიფო სესხის ფონდის, სსრ კავშირის სახდაზღვევის და მოსახლეობის ანაბრების მატების სახსრები 90.140.000 ათასი მანეთის ოდენობით, და გასავლის ნაწილში 459.525.631 ათასი მანეთის ოდენობით.

2. დამტკიცდეს ანგარიში სსრ კავშირის 1988 წლის საკავშირო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემოსავლის ნაწილში 263.542.338 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენებული საერთო-სახელმწიფო სესხის ფონდის, სსრ კავშირის სახდაზღვევის და მოსახლეობის ანაბრების მატების სახსრები 90.140.000 ათასი მანეთის ოდენობით, და გასავლის ნაწილში 261.614.301 ათასი მანეთის ოდენობით, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი 30.388.492 ათასი მანეთი დოტაციისა და კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში გადაცემული 4.095.000 ათასი მანეთი სახსრების გათვალისწინებით.

3. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები შემოსავლის ნაწილში 231.401.148 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 223.831.398 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 7.569.750 ათასი მანეთის გადამეტებით, მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

| | შემოსავალი | გასავალი | გასავალზე შემოსავლის გადამეტება |
|---|---|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 129.220.448 | 125.546.059 | 3.674.389 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 35.229.949 | 34.378.306 | 851.643 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 10.979.111 | 10.423.742 | 555.369 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 10.949.344 | 10.451.725 | 497.619 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 14.098.231 | 13.499.048 | 599.183 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.139.642 | 3.996.846 | 142.796 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.716.140 | 3.590.751 | 125.389 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.533.869 | 4.398.213 | 135.656 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.299.507 | 3.136.869 | 162.638 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.160.486 | 3.054.701 | 105.785 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.721.983 | 2.615.286 | 106.697 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.351.152 | 2.211.252 | 139.900 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.769.151 | 2.481.930 | 287.221 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.154.348 | 2.051.629 | 102.719 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.077.787 | 1.995.041 | 82.746 |

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 31 ოქტომბერი.**

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი „შეღავათების შესახებ".

სსრ კავშირის მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის კანონპროექტთან ერთად, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი, მომზადებული ახალი კანონი შეღავათების შესახებ არსებითად მეორე უდიდესი ნაბიჯია ქვეყანაში კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის გზაზე. იგი ეხება 130 მილიონზე მეტი მუშის, მოსამსახურის, კოლმეურნისა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით დასაქმებული სხვა პირების ინტერესებს.

პროექტის მომზადება წარმოებდა სსრ კავშირის პროფკავშირული ორგანოების, უწყება-სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოთა და ორგანიზაციათა მრავალი შრომითი კოლექტივის აქტიური მონაწილეობით. ფართო აზრთა გაზიარების საფუძველზე შეიმუშავეს ერთიანი პრინციპები, თუ როგორ ჩამოყალიბდეს ახალი კანონი შეღავათების შესახებ საკუთრების ფორმებისა და მეურნეობის გაძღოლის წესის მიუხედავად. მთავარ კრიტერიუმებს შორის არის კავშირი შრომითს წვლილთან, მაღალნაყოფიერი შრომის წახალისება მისი ხასიათისა და პირობების გათვალისწინებით, დამატებითი სოციალური გარანტიების მინიჭება მომუშავე ქალების, ყმაწვილებისა და ინვალიდებისათვის.

პრინციპული ცვლილებები შეაქვთ შრომითს შეღავათებში, დასახულია გაიზარდოს მათი მინიმალური ხანგრძლივობა. მუშაკის შრომითს წვლილთან შეღავათების კავშირის განმტკიცების მიზნით ნავარაუდევია საერთო შრომითი სტაჟის ზრდის კვალობაზე გადიდდეს ძირითადი შეღავათებაც.

შეღავათების სისტემის დიდმნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებას, არის დამატებითი შეღავათება. დამატებითს შეღავათებათა მასტიმულირებელი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია. ისინი მუშაკს ეძლევა შრომის მავნე და მძიმე პირობებში მუშაობისათვის, სამუშაოს განსაკუთრებული ხასიათისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში მუშაობისათვის.

არსებითი შეღავათებია გათვალისწინებული შრომის არახელსაყრელ პირობებში, უწინარესად, ქვანახშირისა და ქიმიურ მრეწველობაში, მეტალურგიაში, ტრანსპორტზე დასაქმებული მუშაკებისათვის.

იმ მიზნით, რომ უფრო ხელშემწყობი პირობები შეექმნას დედობის შეხამებას შრომითს საქმიანობაში ქალის აქტიურ მონაწილეობასთან, ოჯახის განმტკიცებას, განათლების მიღებასა და შემოქმედებითს სამუშაოთა შესრულებას, შემოღებულ იქნება ახალი სახეობის შეღავათება — სოციალური შეღავათებანი.

დასახულია არსებითად გაფართოვდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებები შრომის მავნე და მძიმე პირობებისათვის შეღავათების კონკრეტული ხანგრძლივობის დაწესებაში, დიდი მიღწევებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და განსაკუთრებით რთულ სამუშაოთა შესრულებისათვის მუშაკთა წახალისებაში.

კანონის პროექტში აისახა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებები შეღავათებთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში, მათი სოციალური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, ეროვნული და სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე.

წამოყენებულია წინადადება, განხორციელდეს კანონი ეტაპობრივად, 1991 წლიდან დაწყებული.

# თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**(დასასრული)**

შორის იმ ძალების წარმომადგენლებმაც, რომლებმაც დაიწყეს ვითარების დაძაბვა სამხრეთ ოსეთის ოლქში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა მიმდინარე პროცესებს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისა და უკანონო მოქმედების თითოეულ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება იქნება.

დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა კანონის უზენაესობა, მუშაობის პოლიტიკური და იდეოლოგიური მეთოდების პრიორიტეტი. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ სიმტკიცე და შეტევითობა ყველა დონეზე და შეფასება მისცენ ყოველგვარ მოვლენებს ზუსტი პარტიული პოზიციებიდან, ამასთან მაქსიმალურად გამოიყენონ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის, ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობის, შრომითს კოლექტივებში შეხვედრებისა და საუბრების შესაძლებლობანი, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობითაც, რომლებიც უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთადერთი კრიტერიუმით — სიმართლით, ობიექტურობით, ნამდვილი აზრთა პლურალიზმით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულმოდგინედ აფართოებს უწინარესად საზოგადოებრიობასთან, მუშათა კლასთან, ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან დიალოგის დიაპაზონს. ყოველთვიურად მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრებზე ათასამდე კაცი მოდის. ამ ბოლო დროს გაიმართა გულახდილი საუბრები თბილისის, რუსთავის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, გორის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, გარდაბნის რაიონების, მთიანი ჯავახეთისა და აჭარის შრომითს და სამეცნიერო კოლექტივებში, სასწავლებლებში. მხარს უჭერენ ამ შეხვედრების დროს გამოთქმულ ყოველ რაციონალურ წინადადებას.

ყველგან რომ დაიბრუნონ პოლიტიკური ინიციატივა, პარტიული ორგანოები, თითოეული კომუნისტი საბოლოოდ უნდა გამოვიდნენ გულგრილობის, აპათიისა და პასიურობის მდგომარეობიდან, აქტიურად და დამოუკიდებლად იმოქმედონ თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, დაძლიონ გაუბედაობა იქ, სადაც საქმე ეხება მთელი ხალხის ინტერესებს.

თათბირის მონაწილეებს საფუძვლიანად გააცნეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმას აპირებს რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ოქტომბრის იუბილეს დღეებში ნეგატიურ გამოვლინებებთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად შემუშავებულ პირველი რიგის ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ღონისძიებათა გეგმის საფუძველზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეს პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განაგრძონ და გააფართოონ დიალოგი, გადაჭრან ადამიანთა პირველი რიგის საარსებო პრობლემები, დააჩქარონ ეკონომიკური და სოციალური პროგრესი.

ყოველივე ეს უნდა ეხამებოდეს კანონის ღრმა პატივისცემას, მართლსაწინააღმდეგო მოქმედების, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების დაგმობას. ამჟამად შექმნილია ყველა პირობა კონსტრუქციული გზით წინსვლისათვის, პოლიტიკური საშუალებებით გარდაქმნის დაცვა-გაღრმავებისათვის. სწორედ ასე უნდა იმოქმედონ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა, იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა სოციალისტური საზოგადოების განახლების ამოცანათა პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. მახარაშვილი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი რ. თუშურაშვილი, პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. გიორგაძე, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი რ. მულაძე, რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შაშიაშვილი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" პარტკომის მდივანი გ. დოლიძე, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ფიფია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა.

თათბირის შედეგები შეაჯამა გ. გუმბარიძემ.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიაში

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია მუშაობს იმ მასალების დამატებით შესწავლისათვის, რომლებიც უკავშირდება 30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგის რეპრესიებს, რათა გადაწყდეს იმ პირთა პარტიულობის საკითხი, რომლებსაც სხვადასხვა დროს უკანონოდ დაბრალდათ აქტიური კონტრრევოლუციური საქმიანობა და ანტისაბჭოური აგიტაცია, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენებით, „სამეულების" და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული „განსაკუთრებული თათბირების" დადგენილებებით მიესაჯათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა ან დახვრეტა, და გაირიცხნენ პარტიის რიგებიდან.

შემოწმებათა დროს გამოირკვა, რომ განაჩენები და დადგენილებები გამოჰქონდათ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო ნორმების უხეში დარღვევებით. ამიტომ რეპრესირებულთა ნაწილი რეაბილიტირებული იყო სამართლებრივი თვალსაზრისით 50-60-იან წლებში, ხოლო დანარჩენების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად.

პარტიული შემოწმების პროცესში ვერ იპოვეს იმ პოლიტიკურ ბრალდებათა დადასტურებანი, რომლებსაც რეპრესირებულ კომუნისტებს უყენებდნენ პარტიიდან გარიცხვის დროს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1989 წელს განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წინადადებანი და თავისი გადაწყვეტილებით პარტიაში აღადგინა 5 კაცი, პარტიული თვალსაზრისით რეაბილიტირებულია (სიკვდილის შემდეგ) 130 კაცი. მათ შორის — ნ. ნ. აბაშიძე (ხრამჰესის ელექტროსადგურის მშენებლობის უფროსის მოადგილე), ს. ვ. ალექსეევი (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საკონტროლო-საინსპექტორო ჯგუფის უფროსი), გ. ქ. ახალაძე (პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი), ი. დ. ბერიშვილი (თბილისის საქალაქო საბჭოს განყოფილების გამგე), ა. გ. ბობოხიძე (მახარაძის ჩაის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), ა. ვ. გეგენია (ბათუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსი), ნ. ი. გეგია (სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), ი. ი. გუმბერიძე (პარტიის ვანის რაიკომის მდივანი), გ. ი. ენუქიძე (ამბროლაურის რაიონის ხეტყემრეწვის დირექტორი), ა. ი. ვასილიევი (საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სახალხო კომისარი), ი. ა. ვაჩნაძე („ინტურისტის" საქართველოს განყოფილების მმართველი), ა. ი. იაშვილი (ამიერკავკასიის რკინიგზის წითელი ჯვრის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ვ. კაციტაძე (ხარაგაულის რაიონის სახალხო მოსამართლე), ს. ა. კვინიხიძე (თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი), ბ. ლ. კევლიშვილი („საქრძეფრინველის" მმართველი), პ. შ. კიკნაძე (თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი), ა. ა. კოკაია (საქართველოს ალკკ სენაკის სამაზრო კომიტეტის მდივანი), ი. თ. მაისურაძე (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე), დ. დ. მესტიაშვილი (პარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანი), ი. ვ. ყორყოლაძე (ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი), ა. ვ. სანაძე (თბილისპურვაჭრობის დირექტორი), ვ. ა. სანაკოევი (სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), დ. მ. ციხელაშვილი („მოლიბდენმშენის" უფროსი), გ. ი. ცხრაკბილაშვილი (ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე), კ. ს. ჭიჭინაძე (მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ი. მ. ხუბიეროვი (თბილისის ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი), პ. ა. ჯალაღანია (სამტრედიის კონიაკის ქარხნის დირექტორი).

(საქინფორმი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

# სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეუსაბამობის შესახებ

**განიხილა** რა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წარდგინება სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეუსაბამობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მათი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას, იმ დამახინჯებებისა და დეფორმაციების აღკვეთას, რომლებიც წარსულში ხდებოდა.

ამავე დროს აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი შეიცავს ნორმებს, რომლებიც არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას, აგრეთვე სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებს.

2. ცნობილ იქნეს, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებაში დასახელებული მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების ნორმები, სსრ კავშირის კონსტიტუციის 74-ე მუხლის შესაბამისად, ვერ იმოქმედებს ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რადგან ისინი ეწინააღმდეგება საკავშირო კონსტიტუციის ნორმებს.

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე წინადადება მიეცეთ აღნიშნული მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დადგენილი წესით განახორციელონ ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები შეუსაბამონ სსრ კავშირის კონსტიტუციას.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. **1989 წლის 10 ნოემბერი.**

# ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

## კონტაქტები

[illegible]

საპრემიეროდ. რობერტ ვორენს ჩანს პედაგოგის ღვაწლი არ დავიწყებია და ამჯერად მილანში უხმო.

აქ იქნებ ურიგო არ იყოს გავიხსენოთ, რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო წარსულში იტალიური ბალეტი საქართველოსათვის. ცნობილია, რომ სწორედ იტალიელმა ბალერინამ და პედაგოგმა მარია პერინიმ ჩაუყარა საფუძველი თბილისში ქორეოგრაფიულ განათლებას ჩვენი საუკუნის ათიან წლებში; ნერგავდა რა ჩვენში იტალიური საბალეტო სკოლის ტრადიციებს, მისი სტუდიელები შემდგომში გამოჩენილი მოცეკვავეები გახდნენ (ი. ალექსიძე, ლ. გვარამაძე, ლ. ჩიკვაიძე, მ. ბაუერი, ვ. მაჭავარიანი...).

დღეს „ლა სკალის" საბალეტო სკოლა წამყვანია იტალიურ ბალეტში. მიუხედავად ამისა, იგი მშფოთვარე ცხოვრებით ცხოვრობს, სახელგანთქმული საოპერო დასის მუდმივ მეტოქეობას ვეღარ ეგუება, და საკუთარი პრობლემებისათვის ზრუნვა მის უცილო მოთხოვნილებად ქცეულა,

თუმცა ქალბატონ ვერას მოვუსმინოთ:

„ლა სკალის" დასის შემოქმედებითი პრინციპს, — გვიამბობს იგი, — რეპერტუარის ხშირი განახლების პროცესი განსაზღვრავს. თითოეულ სპექტაკლს სულ რამდენჯერმე წარმოადგენენ, შემდეგ კი ხსნიან რეპერტუარიდან.

ყოველი დასი თავისი დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევა. იტალიელი მსახიობები ძალზე შრომისმოყვარენი არიან. სანუკვარი მიზნის მისაღწევად მთელი დღის მანძილზე დაუწუწუ- [illegible]

# სიკეთისა წილ...

[illegible]

შაობამ. ამ შესანიშნავი მონაცემების მქონე მოცეკვავეს „დონ კიხოტსა" და „რაიმონდაში" მთავარი პარტიების შესწავლაში დავეხმარე. კოლექტივის წამყვან მოცეკვავეებთან — კატია პიანუჩისთან, ვერა კარპენკოსთან, პატრიცია კანინთან ერთად მოვამზადეთ როგორც კლასიკური რეპერტუარი, ასევე ცალკეული საკონცერტო ნომრები.

ტრადიციულად „ლა სკალაში" სპექტაკლების დასადგმელად ხელშეკრულებით იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის აღიარებულ ქორეოგრაფებს. ახლა იქ ნაყოფიერად მოღვაწეობს ცნობილი დანიელი ქორეოგრაფი ფლემინგ ფლინი, რომლის ხელმძღვანელობით ა ც წარმოადგენენ მთელ კლასიკურ რეპერტუარს. მისი დადგმები საინტერესო გააზრებით გამოირჩევა. მან „ლა სკალაში" აღადგინა ბალეტი „სელფიდა", დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი „გაკვეთილი", აგრეთვე დ. შოსტაკოვიჩის „შინელი" (ფლორენციაში).

სხვათა შორის, ფლემინგ ფლინი მოწიწებით ახსენებდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს, რომლის ხელოვნებას მხოლოდ ფილმებით იცნობდა, და დიდ მოცეკვავედ მიაჩნია.

[illegible] ლისა, რომელსაც ამჟღავნებენ პაატა ბურჭულაძის მიმართ. მას ყოველთვის სიხარულით ელიან, ასევე იყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტებზე, რომლის ხელმძღვანელები არიან ნ. რამიშვილი და თ. სუხიშვილი. ბალეტის მსახიობები ყოველ საღამოს ესწრებოდნენ მათ კონცერტებს, მეორე დღეს ქართულ მოძრაობებს იმეორებდნენ და მთხოვდნენ მესწავლებინა მათთვის ზოგიერთი ილეთი.

ბევრი რამ მოვასწარით, მაგრამ ბევრიც დაუმთავრებელი დაგვრჩა. მილანში ორი წლით ვიყავი მიწვეული, მე კი „სახკონცერტის" მიზეზით მხოლოდ ერთი წელი დავყავი, ალბათ ამიტომაც გამომყვა იქაურ მსახიობთა აუხდენელი სურვილები. მართალია, დასმა განცხადებით სთხოვა „ლა სკალას" დირექციას ჩემი იქ ყოფნის ვადის გაგრძელების თაობაზე, მაგრამ ეს მათზე აღარ იყო დამოკიდებული.

ქალბატონი ვერა ბარათს მიჩვენებს, რომელიც სულ ახლახან მიიღო იტალიიდან. წამყვანი მოცეკვავეების კატია პიანუჩისა და მავრიციო ტამელინის სურვილია „დონ კიხოტის" მთავარი პარტიები ვერა წიგნაძემ მოამზადებინოს და ამ მიზნით თბილისში სტუმრობა გადაუწყვეტიათ, იზაბელა სეაბრასთვის კი ჟიზელის პარტია შეუთავაზებიათ და მასაც ამ მიზნით უნდა ჩვენთან ჩამოსვლა. თუ იცის, ნეტავ, რომ ჟიზელი ქალბატონ ვერას უსაყვარლესი პარტიაა, რომელსაც უზადოდ ცეკვავდა, მერე ასევე უზადოდ რომ განცხადდა მისი მოწაფის, ქართული ბალეტის ამომავალი ვარსკვლავის ირმა ნიორაძის ჟიზელში, თუმცა როგორც თვითონ ამბობს, ირმა არავის არ ჰგავს...

რასაკვირველია, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ვერა თბილისის საოპერო თეატრის პედაგოგ-რეპეტიტორის რთულ საქმიანობას ეწევა, მუდამ მზად არის დაეხმაროს სხვას, ამ შემთხვევაში იტალიელ კოლეგებს და ეს, ალბათ, სიკეთის წილ სიკეთით მიგებაც იქნება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**



სურათზე: ვერა წიგნაძე თავის იტალიელ კოლეგებთან.

# „გურია" — „ტორპედო" — 3:2

[illegible]

საქველმოქმედო ფონდის ინიციატივით მოეწყო.

პირველი გოლი მე-11 წუთზე საჯარიმო დარტყმით გურულმა გაიტანა, ექვსი წუთის შემდეგ მეგრელაძემ აღადგინა წონასწორობა. ამას მოჰყვა გურულის კიდევ ერთი გოლი და ლანჩხუთე- [illegible]

გებში მტკიცედ მოეკიდოთ ფეხი, — გვითხრა „გურიის" კაპიტანმა ბადრი დანელიამ, — ძნელი სეზონი გვქონდა, მაგრამ გუნდის ერთსულოვნებამ, გულშემატკივართა მხარდაჭერამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.



სურათზე: გუშინდელი მატჩის მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## სწრაფად, მაღლა, ძლიერად

**ქართული** სპორტის დამოუკიდებლობისთვის ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები მოიწონა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ეს პროცესი ეხმიანება ჩვენი სპორტის დაწინაურებით დაინტერესებულ ადამიანთა გულისთქმას, რასაც რედაქციაში შემოსული მკითხველთა წერილების მოძალებული ნაკადიც ადასტურებს. „კომუნისტი" შეძლებისდაგვარად გვერდში უდგას ამ მოძრაობას და მომავალშიც ყოველმხრივ დაუჭერს მხარს უველა საჭირო და სასიკეთო წამოწყებას. პარალელურად, ჩვენი საგანგებო ყურადღების საგანი იქნება ის ნაკლოვანებანი, რომლებიც სპორტულ ცხოვრებაში შეინიშნება და რომლებიც აბრკოლებს საერთო წინსვლას მთავარი მიზნისაკენ. დაგვეთანხმებით, სუვერენული სპორტული მოძრაობის გაშლა, ოლიმპიურის იდეალების დამკვიდრება, ცალკეულ სახეობათა სპორტის საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრება, მასობრივი ფიზკულტურის განვითარებისათვის რეალური საფუძვლების შექმნა რთული და შრომატევადი პროცესია, რომელსაც არა მარტო შეზღუდული ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი აფერხებს, არამედ ჩვენს სპორტში ათწლეულობით ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენებიც, ცალკეული რგოლების მოუქნელი და უგერგილო მუშაობა, თვალში საცემი შეცდომები და გადახრები, რომელთა გამოაშკარავება და აღმოფხვრა დღეს საარსებო მნიშვნელობას იძენს.

რედაქციას გადაწყვეტილი აქვს ხალხის სამსჯავროზე გამოიტანოს ჩვენი სპორტის პრობლემები და ამ საქმეში, უწინარესად, მკითხველის — სპორტის ჭეშმარიტი გულშემატკივრის თანადგომის იმედი აქვს. სწორედ თქვენი შენიშვნები და წინადადებანი, თქვენი წერილები დაედება საფუძვლად ამ ახალი რუბრიკით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. არც ერთი საქმიანი მოსაზრება და კითხვა უყურადღებოდ და პასუხგაუცემელი არ დარჩება.

მაშ ასე, გიწვევთ რუბრიკა — ოლიმპიური დევიზი: „სწრაფად, მაღლა, ძლიერად".

თემა — ფიზკულტურა და სპორტი.

საკითხი — ნებისმიერი.

დღეს გთავაზობთ ჩვენი სპორტული მიმომხილველის წერილს, რომელიც, ვფიქრობთ, სწორედ პოლემიკისთვის განაწყობს მკითხველსაც და კრიტიკულ შენიშვნათა ადრესატებსაც.

# გოლები საკუთარ კარში

**საქმე** ისე წავიდა, უბეში შეჩურთული ფიქრები უკვე სამზეოზე გამოგვაქვს, ენის კვნეტით ლაპარაკს, უფრო ხშირად და ხშირად, ჯანსაღი სიტყვა და აზრი ენაცვლება. ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემა რინგის კუთხეში მიმწყვდეულ მოკრივეს დაემსგავსა, თუმცა ბიუროკრატია საპასუხო დარტყმაში ისეა გაწაფული, მოულოდნელი ნოკაუტის შიშით, რაღაც რაღაცები უთქმელი გვრჩება. სპორტის მოყვარულთა ვიწრო წრეში ამას წინათ მითხრეს: სპორტში საჯაროობის საქმე მთლად რიგზე ვერ არისო. ალბათ, მართალია ის ხალხი. დარგობრივ-უწყებრივი საჯაროობა, ჩემი აზრით, არ არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს „საჯაროობის კოეფიციენტი". სამხედრო უწყებაში, გასაგებ მიზეზთა გამო, ეს კოეფიციენტი ისეთი მაღალი ვერ აქნება, ვინემ, ვთქვათ, სპორტულში. სპორტს, ოფიციალურად, პოლიტიკაში წილი არ უძევს და შედარებით თავისუფალია ცენზურისაგან. სამაგიეროდ, აქ მოქმედებს „შინაგანი ცენზურა", რომელიც მეტწილად წარმატებით ეღობება საჯაროობას. ეს ლობე მაშინ მოირღვევა, როცა თითოეული ჩვენგანი პირადი პასუხისმგებლობით, საკუთარი აზრითა და სინდისით შეიარაღდება. უწინარესად, ცხადია, სპორტული პრესის მუშაკებს ვგულისხმობ. საჯაროობა და პრესა განუყოფელია ერთმანეთისაგან. რიგითი გამარჯვების გაზვიადება და ნაკლოვანებათა მიჩქმალვა, ცალმხრივი და ზედაპირული კრიტიკა (როცა ქვემდგომი ყოველთვის ტყუის და ზემდგომი ყოველთვის მართალია), თამაშის ძველი, მაგრამ აქამდე შემორჩენილი წესია.

ამ წესით თამაში საკუთარ კარში გოლის გატანას ნიშნავს.

ერთმა ჩემმა კოლეგამ, ამ ექვსი-შვიდი წლის წინ ეს წესი დაარღვია და სამსახურიდან დაითხოვეს. უფრო ადრე, სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადაზე, რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი — რესპუბლიკას ჩვენთვის არასასურველ ინფორმაციას აწვდითო და, მოსკოვიდან გაძევებით გვემუქრებოდა.

უფროსთან კამათი, ცამდე მართალიც რომ იყო, იოლი არ არის.

იოლი საკუთარ კარში გოლის გატანაა.

...და გაგვაქვს გოლები. გაგვაქვს მაშინ,

როცა, ვთქვათ, მასობრივი ფიზკულტურა სულს ღაფავს, ჩვენ კი თავს ვიწონებთ საეჭვო სტატისტიკით.

როცა მოწვეული სპორტსმენებით (კალათბურთი, ხელბურთი) ფონს იოლად გასვლის სურვილი გვძალავს და ამ დროს, ნებსით თუ უნებლიედ, გზას ვულობავთ ადგილობრივ კადრებს, ვამუხრუჭებთ ეროვნული სპორტული პოტენციის გამოვლენას.

როცა სკოლაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხეირიანი ფიზკულტურის გაკვეთილი არ ტარდება, სამაგიეროდ, ზარ-ზეიმით ვატარებთ გამოცდებს ფიზკულტურაში.

როცა პროფკავშირთა სპორტული ბაზების მოზრდილი ნაწილი ხელმიშვებულია, ჩვენ კი, სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს გაბერილი აპარატის შესანარჩუნებლად ამ ბაზებს იჯარით არ ვიძლევით.

როცა „გზას ვულოცავთ" ისეთ სპორტულ სკოლებს, ბეჭდისა და შტამპის მეტი საკუთარი რომ არაფერი გააჩნია, და ამ დროს, მაგალითად, ყურად არ ვიღებთ დიდი ჯიხაიშის მშვენიერი სპორტული კომპლექსის მესვეურთა თხოვნას — იქნებ ჩვენც მოგვხედოთ და სპორტსკოლის სტატუსი დაგვიმტკიცოთო.

როცა გარიგება და ქულებით ვაჭრობა ასე გახშირდა და სტადიონზე თუ დარბაზში მისულ მაყურებელს, ნაღდი სპორტული ბრძოლის ნაცვლად, სპექტაკლს ვთავაზობთ. მიაქციეთ ყურადღება: ჩაწყობა-გარიგების რამდენი შემთხვევა გახმაურდა? ამას წინათ ერთი ჩვენი წყალბურთელი წვრილ-წვრილად მომიყვა, რა პირობით ითამაშეს მოსკოვში უნივერსიტეტის გუნდთან, როგორ დაარღვია პირობა მეტოქემ, რასაც ხელჩართული ჩხუბი და „სოვეტსკი სპორტის" ტენდენციური წერილი მოჰყვა. რით დასრულდა ეს ამბავი? გაიმართა ორი საგანგებო სხდომა: ჯერ თბილისში, მერე — მოსკოვში. აქაც და იქაც ყველაფერი ითქვა... სიმართლის გარდა. არ ითქვა, რომ მეტოქეები წინასწარ მორიგდნენ და მოსკოველებმა „სიტყვა" არ შეასრულეს. „სოვეტსკი სპორტს", რა თქმა უნდა, ეს საქმე არ გაუმჟღავნებია; საბჭოთა სპორტი როგორ შეიძლება ამგვარ მაქინაციებში ჩათრეული იყოს!.. საბჭოთა სპორტსმენებისთვის, მაგალითად, დოპინგიც „უცხო" რამ არის. მაგრამ ადგა აგერ „სანდი ტელეგრაფი" და გამოაქვეყნა სამოყვარულო ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის 1987 წლის ოფიციალური მონაცემები. იმ ქვეყნების სიას, რომელთა სპორტსმენებმა დოპინგის გამოყენებისთვის დისკვალიფიკაცია მიიღეს, სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას! სამოყვარულო ძალოსნობა, პროფესიული სპორტი... პროფესიონალიზმიც დიდხანს მიუღებელი იყო ჩვენთვის. გაიხსენეთ არცთუ ისე შორეული წლების წარმამარა პუბლიკაციები პროფესიული სპორტის „სისაძაგლესა და სიმახინჯეზე" დაახლოებით ასეთი ფინალით: ბედნიერებაა, რომ საბჭოთა ქვეყანაში ასეთი რამ არასოდეს მოხდება. დღეს ხმამაღლა გვიძახით: ბედნიერებაა, რომ დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვაღიარეთ პროფესიონალიზმი. ვაჟა კაჭარავამ, ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამ ორი წლის წინ მითხრა: „ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ საბჭოთა სპორტი პროფესიული არ შეიძლება იყოს. გვარწმუნებდნენ, მაგრამ არ გვჯეროდა". მაშინ, სხვათა შორის, ბატონ ვაჟას ინტერვიუ ჩამოვართვი. ჩემი აზრით, პირუთვნელი საუბარი გამოვიდა, მაგრამ არსად არ დაიბეჭდა. ჩვენი პრესა პირუთვნელობასთან მწყრალად იყო. იყო-მეთქი რომ ვამბობ, მთლად მართალი არა ვარ. საჯაროობის ჩახშობის რეციდივები დღესაც არ არის გამორიცხული.

გამრუდებული სარკე საგნის ნამდვილ სახეს ამახინჯებს და აქედან იწყება ყველა უბედურება.

ვიღაცა იტყვის, ზემოთქმულთან რა კავშირიაო, მაგრამ აქ თბილისის „დინამოსათვის" სახელის შეცვლის გახმაურებული ამბავს გავიხსენებ. „ახალგაზრდა კომუნისტის" ანკეტურმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ სახელის შეცვლის იდეას გულშემატკივართა დიდი უმრავლესობა ემხრობოდა, მაგრამ ხალხის აზრს დაუპირისპირდა ზოგიერთი ხელმძღვანელი ფუნქციონერი და რამდენიმე ვეტერანი დინამოელი. ბევრი „არგუმენტი" მოიტანეს, თუმცა დაგვავიწყდა, რომ ხალხის აზრზე უფრო დიდი არგუმენტი არ არსებობს. როგორც ჩანს, თავდაცვითმა ინსტინქტმა იმოქმედა: ასეთი ნაბიჯი, ადვილი შესაძლებელია, ნაციონალიზმში ჩაგითვალონ. კაცმა რომ თქვას, სახელის გამოცვლით, საეჭვოა, „დინამოს" თამაშის სტილი გამოეცვალა და ამდენი ლოდინით გაბეზრებული ხალხი კვლავ სტადიონისკენ მოებრუნებინა. გულშემატკივართა სიმცირე თუ სიმრავლე, თავის მხრივ, გუნდის ავ-კარგის მაჩვენებელია და ვერავითარი აგიტაცია, პატრიოტული მოწოდება — არიქა, „დინამოს" უჭირს და ახლა უნდა მხარში ამოდგომა — შედეგს ვერ გამოიღებს. ტრიბუნა მაშინ შეივსება და უსათუოდ ასე იქნება, როცა გუნდი კარგად ითამაშებს. თავს ნუ მოვიტყუებთ და დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას, უმაღლეს და პირველ ლიგას შორის გადებულ ბეწვის ხიდზე სიარულს „პასიურ გულშემატკივრებს", „ტენდენციურ მსაჯებს", „გაუთავებელ ტრავმებს" და სხვა ამგვარ „მიზეზს" ნუ გადავაბრალებთ (როგორც ამას ზოგიერთნი ცდილობენ). გაცილებით ჯობს „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით ვიმოქმედოთ და ასე გაჭიანურებული კრიზისის ფესვები, უწინარესად, გუნდში და საფეხბურთო მეურნეობის კულისებში მოვიძიოთ...

წლევანდელი ჩემპიონატის გარშემო, ახლო მომავალში, ცალკე საუბარს გპირდებით, ახლა კი ერთ მომენტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას: ყველანი სიხარულით შევხვდით თბილისის „დინამოს" პროფესიული საფეხბურთო კლუბის შექმნის იდეას. საბოლოოდ, კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ აქა-იქ გაუკვირდათ, როცა კლუბის საბჭოს სიაში, ვთქვათ, საბაჟოს სამმართველოს უფროსის, ვაჭრობის მინისტრის მოადგილის, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის (და კიდევ სხვათა) გვარები ამოიკითხეს. ვერ გეტყვით, ვის მოუვიდა აზრად ასეთი პატივცემული და ისედაც თავსაყრელი საქმით მოუცლელი ხალხის მოცდენა და პროფესიული კლუბის საბჭოს წევრად გამოცხადება. რომელიმე ფეხბურთელს კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდების ჩაბარება თუ გაუჭირდა, არა მგონია პატივცემულმა რექტორმა (როგორ მაკადრეთ და საბჭოში არ შემიყვანეთო) ხელი არ მოუმართოს; საბაჟოში რაიმე გაუგებრობა თუ მოხდა, არც მისი ჰკითხეს, მხოლოდ მაშინ, როცა რომელიღაც კაბინეტში განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. საბოლოოდ, ეროვნული ჩემპიონატის ნაცვლად ხელთ შეგვრჩა ახალგაზრდული პირველობა, კიდევ უფრო დაეცა ისედაც სახელგატეხილი ტურნირის ავტორიტეტი. ჩემპიონატის „გაახალგაზრდავებას" საფუძვლად დაედო ერთი შეხედვით კეთილშობილური სურვილი — ოსტატთა გუნდებისათვის რეზერვის მომზადება და ჩვენს ფეხბურთში ფესვგადგმული ათასი მაძაღლობის აღკვეთა, მაგრამ ამგვარი მიზნის აღსრულება ხელოვნურ-იძულებითი ზომებით ვერ მოხერხდება. უარი უნდა ვთქვათ საეჭვო კაბინეტურ ექსპერიმენტებზე და პანაცეა სხვაგან ვეძებოთ. როგორც ამასწინანდელი სატელევიზიო გადაცემიდან შევიტყვეთ, რესპუბლიკის სპორტსახკომი, სერიოზულად დაინტერესებულა ეროვნული ჩემპიონატის პრობლემატიკით. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ვახტანგ მახარაძესა და ჯანსუღ ბაგრატიონს, საფიქრებელია, ამის თაობაზე მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი პროგრამა აქვთ, მაგრამ ის რაც ტელეეკრანიდან მოვისმინეთ, მთლად დამაჯერებელი და დასაბუთებული ვერ იყო. ორგანიზაციული ხარვეზების აღმოფხვრა, რეკლამის მოგვარება, რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა სავალდებულო მონაწილეობა და ზოგიერთი სხვა რიგითი საკითხის გადაჭრა გულშემატკივარს ეროვნული ჩემპიონატისაკენ ვერ მოაბრუნებს. ასეთი სახელდახელო ზომებისთვის ჩვენ არაერთხელ მიგვიმართავს, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიგვიღია. ეს არის დროებითი ტაქტიკური მოგება, სტრატეგიული წაგების ხარჯზე. ასეთი პოლიტიკით ვინ იცის კიდევ რამდენი წლით გადავედებთ იმას, რასაც ხალხი უახლოესი დროისათვის ითხოვს.

რას ითხოვს ხალხი? ეროვნული სპორტის დამოუკიდებლად გასვლას მსოფლიო სარბიელზე. არა უნდა გავიხადოთ მთავარ ორიენტირად და ამ სასწორზე ავწონოთ აქამდე გაკეთებულიც და აწი გასაკეთებელიც. დიახ, ქართველი კაცი, ათას სხვა რამესთან ერთად, იმასაც ფიქრობს, იქნებ გველირსოს და საქართველოს ეროვნული გუნდი, როგორც სპორტული სამყაროს დამოუკიდებელი სუბიექტი დიდ სარბიელზე გავიდესო. ამ ბუნებრივი სურვილის აღსრულებაში ცენტრი ხელს თუ არ მოგვიმართავს, ალბათ, წინ მაინც არ გადაგვიდგება, „ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის" პატრონობას არ დაგვიმადლის.

სპორტული მოძრაობის მართვის ცენტრალიზებულ სისტემას, როცა ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი ცხო მთის იქით წყდება, დიმედროლის ეფექტი აქვს: ძილის გუნებაზე გაყენებს, ხის ვიღაცა და შენს მაგივრად ადგენს გეგმას, პროგრამას, კალენდარს, ნორმატივს, ეთათბირება საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს, ფირმებს, კომპანიებს და ამ სამსახურისთვის შენგან მადლობასაც არ ითხოვს. ითხოვს მხოლოდ მორჩილებას. ხანგრძლივმა მეურვეობამ, როგორც ჩანს, სიფხიზლე მოგვადუნა, ჩვენს კომპასს მაგნიტი ამოაცალა. უმაგნიტო კომპასით სიარული ახლა თითქოს... [illegible] ვის სჯის იმათ, ვინც მისი გაკვეთილებიდან ჭკუას ვერ სწავლობს. ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, ამდენი და ამდენი ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონი გვყავსო. მასხალ-მასხალ გვაქვს დათვლილი ყველა მედალი და ჯილდო, მაგრამ არასოდეს დაგვითვლია, „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა", რამდენი პოტენციური ჩემპიონი შინ დაგვრჩენია პირში ჩალაგამოვლებული, რამდენი მედალი, სადაც სამართალია, ჩვენ რომ გვეკუთვნოდა, ვიღაც გადამთიელს წაუღია. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ევროპაში ტოლს არავის დაუდებსო. მაგრამ საქართველოს ნაკრები, როგორც დამოუკიდებელი გუნდი, ევროპის ჩემპიონატში არასოდეს გამოსულა. გუშინწინდელი ფაქტი: დავით გობეჯიშვილი მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, ხადარცევით შეცვალეს. ხადარცევმა უხეიროდ იჭიდავა, მაგრამ ამისთვის სსრკ ნაკრების მწვრთნელები არავის დაუსჯია. დაისაჯა... გობეჯიშვილი, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ჩემპიონი გამხდარიყო. ფაქტი იმდენია, ძველიც და ახალიც, ჩამოთვლას აზრი არა აქვს.

როგორ მოვიქცეთ? ავიღოთ ჩვენი კონსტიტუცია და იმ მუხლს ჩავეჭიდოთ, საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკად რომ აცხადებს. ალბათ, საზოგადოებრივი აზრის მოძალებამ და ამ მუხლის არსებობამ შეგვახსენა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა. მის ხორცშესასხმელად, რესპუბლიკის სპორტსახკომისა და სხვათა თანადგომით, ჩვენში უთუოდ საჭირო მოძრაობა გაჩაღდა და იმედიანად დაგვირგვინდა კიდეც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი სპორტული მოძრაობის დამოუკიდებლობის გზაზე, მაგრამ ვიდრე საბოლოო მიზანს მივაღწევდეთ, შინ და გარეთ არა ერთი და ორი ჯებირის დაძლევა მოგვიწევს. სეოკ-ის ხელმძღვანელობას ოპტიმიზმი არ აკლია, ამ საქმეს იმედით შესცქერის საზოგადოებრიობაც, რომლისთვისაც ქართული სპორტის ჯერ კიდევ გაურკვეველი მდგომარეობა არ შეიძლება ფიქრისა და გულისტკივილის საგანი არ იყოს.

**ელგუჯა ბერიშვილი.**

## ფიზიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

**საქართველოს სსრ** მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 10 ნოემბერს მუშაობა დაიწყო „იონების ტრანსპორტისა და მისი რეგულაციის მექანიზმების" პრობლემისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა. სამი დღის განმავლობაში ქვეყნის მთელი რიგი ქალაქების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დანიის და უნგრეთის თვალსაჩინო სპეციალისტები წაიკითხავენ დაახლოებით ორმოც მოხსენებას და გაგვაცნობენ უახლეს გამოკვლევათა შედეგებს.

განსახილველი თემა აქტუალურია არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერების, არამედ ფარმაკოლოგიისა და კლინიკური მედიცინისათვის. ცნობილია, რომ უჯრედების მომარაგება მათი ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ნივთიერებებით, მათ შორის იონებით, დამოკიდებულია სატრანსპორტო ფერმენტების ნორმალურ მოქმედებაზე. მათი მუშაობის მექანიზმის შესწავლა დაგვეხმარება გავიგოთ დარღვევები სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს, გამოვიმუშაოთ მკურნალობის მეთოდები. (საქინფორმი)

## სიყვარულის დასტურად



**პროფესიონალ** თუ მოყვარულ ხელოვანთა გულღია მასპინძლობა უცხო როდია შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლისათვის. თვითნასწავლ მხატვართა ნაწარმოებებს ძალზე ხშირად სწორედ აქ უხილავთ პირველად დღის სინათლე, პირველი საჯარო შეფასება და პროფესიონალთა კეთილი რჩევაც აქ მოუსმენიათ. ხელოვანთა ეს მყუდრო ნავსაყუდელი ამ დღეებში თვითნასწავლი მხატვრის ბორის ალფაიძის ფერწერულ ნიმუშებს დაეთმო. ოღონდ ერთი განსხვავებით, ექსპოზიცია ნაღვაწის ჩვეულებრივი ანგარიში როდია დამთვალიერებლის წინაშე, ამჯერად ყოველი ნამუშევარი შეფასებულია და მსურველს მოწონებულის შეძენაც შეუძლია.

მასპინძელი სახლის ორი დარბაზი ეთმობა 75 ნამუშევარს. მათი უდიდესი ნაწილი პეიზაჟებია, აქვეა პორტრეტი და ნატურმორტი.

— თავიდან პეიზაჟებით დავიწყე, — თქვა ბატონმა ბორისმა, — და ძალიან გამიტაცა, ამით აიხსნება მათი სიმრავლე, მიყვარს პეიზაჟის ხატვა, რადგან მგონია, აქ უფრო ვაღწევ მიზანს, აი პორტრეტი კი, გაცილებით მეტ დროს მართმევს. ძირითადად უცნობებს ვხატავ, შემხვდება, მომეწონება ტიპი, მისი სახე აზროვნებაში მრჩება და მერე ისე გადამაქვს ტილოზე, მას არაფერს ვკითხები.

მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული სახეები თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებები გვხიბლავენ ფერთა გამით, ხასიათების მიგნებით, თემატიკით.

მხატვრობა სამთო ინჟინრის ბორის ალფაიძის სერიოზული გატაცებაა. თუმცა, გატაცება რა სათქმელია, მეორე პროფესიაა. ბორისი პენსიაზე გასვლამდე მეტრომშენში მუშაობდა და თავისუფალ დროს ხატავდა. ახლა, ბუნებრივია, საყვარელი საქმისათვის მეტი დრო აქვს.

ბატონი ბორისი წუთითაც არ ივიწყებს მშობლიურ ტყიბულის რაიონს, სოფელ კურსებს. პირველი პერსონალური გამოფენა სწორედ ტყიბულის სამხატვრო გალერეაში ჰქონდა, ხელოვანის სურვილია, საქმით დაამტკიცოს ეს სიყვარული და გადაწყვეტილი აქვს, კაპიტალური რემონტის შემდეგ, უსასყიდლოდ აღადგინოს კურსებში ქაშვეთის ეკლესიის ფრესკები.

**ინეზა ლეკვეიშვილი.**

სურათზე: გამოფენის ექსპონატი.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## ეს თქვენთვის ხელსაყრელია!

**თუ** თქვენ არა გაქვთ ვალუტა, ისარგებლეთ საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კომერციულ ცენტრთან არსებული საგარეო ვაჭრობის ურთიერთობის · ფირმა „ინტერკომმოს" მომსახურებით, რომელიც აწარმოებს საქონელგაცვლით (ბარტერულ) ოპერაციებს საგარეო ბაზარზე, კომერციულ მომსახურებას უწევს უცხოურ ფირმებს, ხელს უწყობს მათთან ერთობლივი საწარმოს შექმნას.

ფირმა ეხმარება რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებს, კოოპერატივებს სახელმწიფო დაკვეთის გადამეტებით წარმოებული პროდუქციის, გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, საწარმოო-ნარჩენების ბარტერულ გაცვლაში მათთვის საჭირო მასალებზე, მანქანა-დანადგარებზე და სხვა საქონელზე საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყნიდან, შეთანხმებულ ვადებში.

გამოიყენეთ ბარტერული ოპერაციების შესაძლებლობანი, რომელთა განხორციელების უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული ორგანოების საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის ორგანიზაციებს.

ჩვენი მისამართია: 380094 თბილისი, ბახტრიონის ქ. № 8.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის კომერციულ ცენტრთან არსებული ფირმა „ინტერკომმო". ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით: 39-47-30, 38-21-82.

რედაქტორი Б. ჩერქეზიშვილი.

## ტელევიზია—კვირა, 12 ნოემბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.35 — კინოაფიშა. 10.05 — დილის საკვირაო გასართობი პროგრამა. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 11.40 — ფილმის შუქ-ჩრდილები. მხატვრული ფილმი „მძარცველი". 13.10 — საკვირაო გამოფენა. 13.15 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.55 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 14.25 — საკვირაო გამოფენა. 14.30 — ვესტნიკი. 15.00 — საკვირაო გამოფენა. 15.05 — „მამული, ენა, სარწმუნოება" — ცხოვრება და სარწმუნოება (გადაცემა მესამე). 16.00 — ხალხური შემოქმედება — აჭარული ჩანახატები. 16.20 — მულტფილმები. 16.55 — ზედაშე. 17.20 — თანამედროვე ფრანგული ბალეტი. 18.05 — გარდაქმნის ნახნაგები. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — „ღმერთმ გიდღეგრძელოთ გვარია!". პანკისის ხეობაში. 21.20 — ხალხური სიმღერის მოამაგე. რაჟდენ ხუნდაძე. 22.00 — შვიდი დღე. 23.15 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „უკრავს ნ. ჭირაქაძე" (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები).

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 9.45 — სპორტლოტო. 10.00 — „დილაადრიან". 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მსოფლიოს გარშემო. 13.30 — „ზღაპრებისა და თავგადასავლების სამყაროში". 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — ღია კარის დღე. 16.15 — „ვივატ, რუსეთო!". 16.55 — მულტფილმები. 17.30 — „ცისარტყელა" (პორტუგალია). 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 20.35 — მხატვრული ფილმი „კურიერი". 22.00 — „7 დღე". 23.15 — ფიქრები მარადისობაზე. საკვირაო ზნეობრივი ქადაგება. 23.30 — დოკუმენტური ფილმი „ნერუ". პირველი ფილმი. 0.35 — „სოჭი-89". საბჭოთა სიმღერის 1976-1989 წლების სრულიად რუსეთის კონკურსების გამარჯვებულთა კონცერტი.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მულტფილმები. 9.50 — რეტრო. გადაცემა ხანდაზმულთათვის. 10.50 — ხალხური მელოდიები. 11.05 — ირკუტსკის ტელესტუდიის პროგრამა. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — მოლდავეთის სსრ სახტელერადიო. 13.15 — შუადღემდე და შუადღემდე (28 ოქტომბრის გადაცემის გამეორება). 15.00 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხის „სლოვოს" ფურცლების კვალდაკვალ. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — ტელეფილმი „ალტერნატივა არ არის". 18.35 — მოსწავლე გოგონათა ზნეობრივი აღზრდისათვის. 18.55 — ფეხბურთი. სსრკ თასი. „სპარტაკი" — მინსკის „დინამო". 20.50 — პატარა კონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ხელბურთი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. სუპერფინალი. 22.00 — „7 დღე". 23.15 — მხატვრული ფილმი „ოჰ, ვოდევილი, ვოდევილი...". 0.20 — ეს მსოფლიოს აწუხებს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10534 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ.